ზოგადი რეკომენდაციები სოციალური მუშაკებისთვის

DRI
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
DEMOCRACY RESEARCH INSTITUTE
2023

აუცილებელია ყურადღება მიაქციოთ ბავშვში შემდეგ სიმპტომებს

- უხალისოდ დადის სკოლაში და ძალიან უხარია სკოლის გაცდენის ნებისმიერი შესაძლებლობა;
- სკოლიდან მოწყენილი/დეპრესიული ბრუნდება;
- ხშირად ტირის თვალშისაცემი მიზეზის გარეშე;
- არასდროს ახსენებს არცერთ თანაკლასელს;
- ძალიან ცოტას საუბრობს სასკოლო ცხოვრებაზე;
- არ იცის ვის დაურეკოს გაკვეთილების გასაგებად ან საერთოდ უარს ამბობს ვინმესთან დარეკვაზე;
- მარტოსულია და არავის ეპატიჟება სტუმრად, დაბადების დღეებზე;
- ფულის, ტკბილეულის ან საჭმლის მოპარვა, რომ მოძალადე ასიამოვნოს და მისგან წამოსული ძალადობა დროებით შეაჩეროს. სკოლის გარეთ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა, იმის შიშით, რომ მოძალადეც შეიძლება იქვე ახლოს იყოს;
- მშობლების მოტყუება;
- აკადემიური მოსწრების მკვეთრი დაქვეითება.

რას ვაკეთებთ?

- გამოავლინეთ ბავშვისადმი ნდობა და მოუსმინეთ მას;
- ყოველთვის გახსოვდეთ კონფიდენციალურობის შესახებ;
- პატივი ეცით საზღვრებს;
- მოაწყვეთ ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები ბავშვებთან;
- ჩაატარეთ საინფორმაციო შეხვედრები ბავშვებთან ძალადობისა და ბულინგის შესახებ;
- გამოიყენეთ როლური თამაშების ტექნიკა;
- შემთხვევა გადაგზავნეთ და ითანამშრომლეთ სხვა სპეციალისტებთან (ფსიქოლოგ-თან, ფსიქიატრთან, ქცევით თერაპევტთან);

- მოაწყვეთ ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან;
- დააორგანიზეთ ტრენინგები მშობლებისთვის და სხვა პროფესიონალებისთვის ძალადობისა და ბულინგის თემებზე;
- იმუშავეთ, რომ დაეხმაროთ ბავშვებს სოციალური უნარების განვითარებაში;
- იმუშავეთ, რომ მხარი დაუჭიროთ ბავშვებში თანაგრძნობის განვითარებასა და განსხვავებულის მიღებაში (ტოლერანტობა);
- ასწავლეთ ბავშვებს მათი უფლებები და პასუხისმგებლობები;
- საჭიროების შემთხვევაში გაეცით ინდივიდუალური კონსულტაცია;
- გამოიყენეთ კრიზისული ინტერვენცია.